*ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე* ***არჩილ თალაკვაძესთან***

# არჩილ თალაკვაძე: პანდემიის დროს არცერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პარლამენტის მონაწილეობის გარეშე არ მიღებულა

**რამ განაპირობა ახალ კორონავირუსთან ბრძოლაში საქართველოს წარმატება?**

COVID-19-თან ბრძოლაში ჩვენი მთავარი მიღწევა არის ვირუსის გავრცელების შეკავება და შემთხვევათა დაბალი მაჩვენებელი, ეფექტიანი ეპიდემიოლოგიური კონტროლი და ეკონომიკურ აქტივობებზე შეზღუდვების დროული და უსაფრთხო მოხსნა.

ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებმა და ვირუსთან ბრძოლაში ჩართულმა უწყებებმა, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, დროულად მიიღეს გადამწყვეტი ზომები როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ისე ლოჯისტიკის, მართლწესრიგის და სოციალური დაცვის მიმართულებებით – ამან განაპირობა COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატება.

ახალი კორონავირუსის პანდემიის გლობალური მასშტაბის მიუხედავად, ჩვენმა ქვეყანამ შეძლო COVID-19-ის შეკავება და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა. ამ შედეგების გათვალისწინებით, საქარ-

ბის სიაში შეიყვანა, ხოლო საერთაშორისო პარტნიორებმა დადებითად შეაფასეს ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიებები და მიღწეული წარმატება.

**რა როლი ჰქონდა საკანონმდებლო ხელისუფლების გადაწყვეტილებებს ვირუსის რისკების წარმატებულ მართვაში?**

მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს საქართველოს პარლამენტის მხრიდან ჰქონდა ძლიერი საკანონმდებლო მხარდაჭერა, რომლითაც პასუხისმგებელ უწყებებს ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობა მიეცათ. პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა ისეთი მექანიზმები, რომლებიც ჯანდაცვის სისტემას სწრაფი ეპიდკონტროლის განხორციელების და ვირუსის გავრცელებაზე რეაგირების სწრაფი და საიმედო ნაბიჯების გადადგმის საშუალებას აძლევდა; საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა სოციალური დაცვის და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

მინისტრის და მთავრობის რამდენიმე ანგარიში COVID-19-თან ბრძოლის შესახებ. მაჟორიტარი დეპუტატები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პრევენციული და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებების მხარდაჭერაში და მოსახლეობისთვის აუცილებელი სოციალური დახმარების მობილიზების და მიწოდების პროცესში. არაერთი მათგანი რამდენიმე რაიონში კარანტინის ზონაში დარჩა და ბოლომდე უზრუნველყოფდა თანამოქალაქეების მხარდაჭერას.

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო აქტიურად იყო წარმოდგენილი როგორც საკოორდინაციო საბჭოს, ისე ეკონომიკური ჯგუფის ფარგლებში და პანდემიის დროს არცერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პარლამენტის ჩართულობის გარეშე არ ყოფილა მიღებული.

პანდემიის წინააღმდეგ ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართულები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო-საბიუჯეტო, თავდაცვისა და უშიშროების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, აგრარულ საკითხთა და დიასპორის საკითხთა კომიტეტები.

> საქართველო ეფექტიანად გაუმკლავდა პანდემიის პირველ ტალღას, შეძლო ვირუსის შეკავება და ამით დაიცვა მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ეს იყო ხელისუფლების, ჯანდაცვის სამსახურების, საზოგადოების და ინსტიტუტების, მათ შორის, ისეთის, როგორიცაა ეკლესია და ჩვენი მეგობრების, ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშირის ერთიანი ძალისხმევის დამსახურება.

**როგორ გაუმკლავდება ქვეყანა პანდემიით გამოწვეულ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს?**

კრიზისის პერიოდში ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა და განაგრძობს მუშაობას როგორც სოციალური მხარდაჭერის,

ჩვენი ანტიკრიზისული გეგმა მოიცავს სამ ძირითად ამოცანას:

პირველი, ეს არის სოციალური დახმარების მიმართულება. ამაში შედის მთელი რიგი ნაბიჯები როგორც კრიზისულ, ისე პოსტკრიზისულ პერიოდში. ამ მიზნით პირველ ეტაპზე გამოიყო 1.035 მილიარდი ლარი და სახელმწიფომ დაიწყო იმ მოქალაქეთა დახმარება, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ თანადგომა პანდემიის გამო.

მეორე, ეს არის ეკონომიკის სტაბილიზაცია და მისი აღდგენა, სადაც სექტორული დახმარების კონკრეტული გეგმები და პროექტები წარმოვადგინეთ – ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ლოჯისტიკა, მშენებლობა და დეველოპმენტი, განათლების სფერო, შიდა წარმოების ხელშეწყობა და სხვა. ამ მიზნით პირველ ეტაპზე გამოიყო 2.11 მილიარდი ლარი.

მესამე და ძალზე მნიშვნელოვანი, ეს არის ქვეყნის უსაფრთხოების და დემოკრატიული მმართველობის განმტკიცება – მიუხედავად პანდემიისა, ჩვენი ხელისუფლება დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას აგრძელებდა და საგაზაფხულო სესიის დასასრულს პარლამენტმა ბოლომდე მიიყვანა არსებითად პროპორციული საარჩევნო სისტემის მიღება და საარჩევნო კოდექსის რეფორმა.

ჩვენ მზად ვართ არსებითად პროპორციული სისტემით, დემოკრატიულად და სამართლიანად ჩავატაროთ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.

**რამდენად შეძლებს ხელისუფლება პანდემიის პირობებში უსაფრთხო, თავისუფალი არჩევნების ჩატარებას?**

მსოფლიოსა და რეგიონში COVID-19-ის მიმდინარე პანდემიის მიუხედავად, საქართველო მზად არის დემოკრატიული და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების უსაფრთხოდ ჩასატარებლად.

საარჩევნო კოდექსის რეფორმირებისას ჩვენ გავითვალისწინეთ არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის აუცილებელი რეგულაციებიც, რომლის საფუძველზეც საარჩევნო ადმინისტრაცია და ჯანდაცვის სამინისტრო უსაფრთხოების წესებს და სპეციალურ პროტოკოლს შეიმუშავებს, რაც არჩევნების დღეს ჩვენი თანამოქალაქეების დაცვას და არჩევნების უსაფრთხოდ